

**თურქული ენა**, თურქეთის რესპუბლიკის სახელმწიფო ენა. ბერძნულთან ერთად სახელმწ. ენაა აგრეთვე კვიპროსის რესპუბლიკისა. ენობრივ მონაცემთა სიახლოვის მიხედვით **მ. ე.** აზერბაიჯანულთან, თურქმენულთან და გაგაუზურთან ერთად განეკუთვნება თურქ. ენათა ოჯახის ოღუზურ ან სამხრ. ჯგუფს. თურქეთის რესპუბლიკად გამოცხადებამდე (1923) **მ. ე.-ს** ოსმალურიც ერქვა. ახლა ოსმალურის (თურქ. ოსმანლიჯა) სახელით აღინიშნება ძვ. ოსმალთა იმპერიის სახელმწ. ენა. სხვა მრავალრიცხოვან თურქ. ენებიდან გამოსარჩევად ამჟამად **მ. ე.-ს** ანატოლიურ თურქულს და თურქეთის თურქულსაც ეძახიან. **მ. ე.-ზე** ლაპარაკობს დაახლ. 40 მლნ. კაცი (1970, შეფასება).

ოსმალთა იმპერიის ფეოდ.-კლერ. წრეებმა სამწერლობო **მ. ე.-ის** განვითარებას ისეთი მიმართულება მისცეს, რომ მან თითქმის დაკარგა ეროვნ. ენის სახე. **მ. ე.-ში** შეიჭრა უჩვეულოდ ბევრი სპარს. და განსაკუთრებით არაბ. ლექსიკური (80%-ზე მეტი) და გრამატ. ელემენტი. საერთო სასაუბრო და სამწერლობო ენა დაშორდა ერთმანეთს. შეიქმნა ხელოვნური ენა, ერთგვარი ჟარგონი, რ-იც მხოლოდ მმართველი წრეებისა და საზ-ბის ზედაფენებისათვის იყო ხელმისაწვდომი. ეს ვითარება საუკუნეების განმავლობაში გრძელდებოდა. პრეზიდენტ ქემალ ათათურქის ინიციატივით 1932 დაარსებული თურქ. საენათმეცნიერო საზ-ბის მიერ ჩატარებულ გადამჭრელ ღონისძიებათა შედეგად უკვე განხორციელებულია სალიტ. ენის ლექსიკის ძირეული რეფორმა, გამოვლენილია ძვ. ანატოლიურ წერილობით ძეგლებსა და დიალექტებში შემონახული ეროვნ. ლექსიკური მარაგი, რ-მაც უკვე თითქმის მთლიანად შეცვალა არაბ.-სპარს. ნასესხობანი.

რესპ. თურქეთმა ჯერ კიდევ 1928 უკუაგდო **მ. ე.-ის** შეუსაბამო არაბ. დამწერლობა და შეცვალა იგი ლათ. გრაფიკის საფუძველზე შექმნილი ახ. ანბანით. **მ. ე.-ს** აქვს დიალექტები: სამხრ.-დასავლური, შუა ანატოლიური, აღმოსავლური, ჩრდ.-აღმოსავლური (შავი ზღვის სანაპიროებისა), რუმელიური, სამხრ.-აღმოსავლური და კასტამუნიური. სხვა **მ. ე.-ების** მსგავსად, **მ. ე.-ის** დამახასიათებელია სინჰარმონიზმი, აგლუტინაცია, წინადადებაში ყოველი მეორეხარისხოვანი ელემენტი წინა პლანზეა, მთავარი — მეორეზე.

ლიტ.: Баскаков Н. А., Введение в изучение тюркских языков, М., 1969; Дмитриев Н. К., Турецкий язык, М., 1960; Кононов А. Н., Грамматика современного турецкого литературного языка, М.—Л., 1956; Philologiae Turcicae fundamenta, v. 1—2, Wiesbaden, 1959—64.

ს. ჯიქია.